თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. ბათუმი

____ მარტი, 2022 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „ბხსუ“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მაია ჭიჭილეიშვილის მიერ (შემდგომში „მხარეები“), თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი, ამოცანები და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია „ბსუ“-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ (შემდგომში ,,პროგრამის“) განხორციელებისა და სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

2.2. სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების მიზნით მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).

2.3. მემორანდუმის ამოცანებია:

ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა მოაწყონ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები განათლების სფეროს თანამედროვე პრობლემებსა და განათლების მართვის საკითხებზე;

ბ) მხარეებს შორის შეთანხმებული კონტინგენტის (არანაკლებ 15 და არაუმეტეს 30 სტუდენტისა) ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნას მხარეთა შორის თანამშრომლობა და სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის (15 კრედიტი) გავლა;

გ) დაიგეგმოს თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

დ) მოხდეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება;

ე) საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა ისარგებლონ ერთმანეთის კუთვნილი ბაზითა და საგანმანათლებლო რესურსით;

ვ) უზრუნველყოფილი იქნას საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების მართვის გაზიარება-გაცნობა.

2.4. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2.5. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.6. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

3. დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი ინახება მხარეებთან;

3.2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

3.3. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით.

მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158

მის: რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა 32/35,

ბათუმი

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის ხელოვნების სასწავლო

უნივერსიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496

მის: ბათუმი ზურაბ გორგილაძის/ვაჟა ფშაველას

ქუჩა №19/32

ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

რექტორი, პროფ. მერაბ ხალვაში

რექტორი, პროფ. მაია ჭიჭილეიშვილი